




დეკემბერი, 2020 წ.

## ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა\*



### თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ნოემბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი - 7.7% შეადგინა
- დეკემბერში წლიური ინფლაცია 2.4%-ს გაუტოლდა
- დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.7%-ით გაიყარდა, ხოლო ევროს მიმართ 2.1%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)

\*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით გოგინათი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლას




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020 წ.

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი

ნოემბერში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 7.7%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ნოემბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -7.7% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპმა<sup>1</sup> 8.0% შეადგინა.




დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 2.4%-ს შეადგინა.

წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, 2020 წლის დეკემბერში ინფლაციის დონე 2.4%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და სახლის მოვლაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერჯიაზე და აირზე. 2020 წლის ნოემბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 5.7% შეადგინა.



ნოემბერში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2020 წლის ნოემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2.8%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები -19.8%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 39.0 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 263.7 მლნ ლარით განისაზღვრა.




<sup>1</sup> წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

ნომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2020 წლის ნოემბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 19.7%-ით მოიმატა და 36.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.9%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 22.1%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-ნომბერში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

წინა წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით, 2020 წლის იანვარ-ნოემბერში ექსპორტი 11.3%-ით, ხოლო იმპორტი 15.9%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.6%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ჩინეთში (131%-ით), ესპანეთსა (87%-ით) და შვეიცარიაში (26%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი სომხეთში (56%-ით), აშშ-ში (25%-ით), უკრაინაში (17%-ით) და რუსეთში (13%-ით).


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები იანვარ-ნოემბერი



ნომბერში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ნომბერში ფულადი გზავნილები 12.5%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42%), რუსეთი (19%) და აშშ (12%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (208%), უკრაინიდან (124%-ით), გერმანიიდან (65%-ით), აშშ-დან (36%-ით) და იტალიიდან (28%-ით). ხოლო რუსეთიდან შემცირდა (16%-ით).


ფულადი გზავნილები იანვარ-ნოემბერი



2020 წლის დეკემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 3,911 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2020 წლის დეკემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,911 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.5%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 4.3%-ით შემცირდა. 2020 წლის ნოემბერში ვალუტის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 173.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვარ-ივნისში სებ-მა სავალუტო აუქციონზე 165.0 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო გამოყენებული ოფციონების საშუალებით დაახლოებით 50 მლნ აშშ დოლარი, აგვისტო-ნოემბერში კი 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები




### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტემპი შემცირდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2020 წლის ნოემბერში სარეზერვო ფულის მასა 16.7%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 13.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 20.4%-ს გაუტოლდა. ნოემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 3.8% შეადგინა.


ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები  
%-ლი ცვლილება



ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა როგორც დეპოზიტებზე, ისე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.


2020 წლის ნოემბერში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.96%-ული პუნქტით გაიზარდა და 64.13%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.38%-ული პუნქტით გაიზარდა და 56.20% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2020 წლის ნოემბერში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.2%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 4.0%-ით გაიზარდა.

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი




ნოემბერში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე არ შემცვლილა, ხოლო სესხებზე გაიზარდა 0.3%-ული პუნქტით.

2020 წლის ნოემბერში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.1% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.3%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით 5.8% შეადგინა, 1.5 %-ული პუნქტით მეტი წინა წლის ნოემბერთან შედარებით.



დეკემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლართან გამყარების, ხოლო ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.


2020 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.7%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 2.1%-ით გაუფასურდა. ამავ პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2020 წლის დეკემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 11.6%-ით, ევროს მიმართ კი 19.3%-ით გაუფასურდა.



## 4. რეგიონული მიმოხილვა


დეკემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2020 წლის დეკემბერში თურქეთში წლიური ინფლაციამ 14.6% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (4.9%). რაც შეეხება აზერბაიჯანს და სომხეთს, 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შესაბამისად 2.8% და 1.6%-ით მოიმატა.



დეკემბერში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2020 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (24.3%-ით), რუსული რუბლი (15.2%-ით), სომხური დრამი (7.7%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით).



შემაჯამებელი ცხრილი<sup>2</sup>



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

		დეკ 19	იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20
<b>რეალური სექტორი</b>	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
<b>მონეტარული სექტორი</b>	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
<b>საგარეო სექტორი</b>	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
<b>ფისკალური სექტორი</b>	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		დეკ 19	იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20
<b>რეალური სექტორი</b>	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
<b>მონეტარული სექტორი</b>	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
<b>საგარეო სექტორი</b>	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
<b>ფისკალური სექტორი</b>	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

\*\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

<sup>2</sup> გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.